ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,ვენო"

საფუძველი: 12/13304326-16

მისამართი: (სექტორი – ვაკე) ჯიქიას ქ. №9ა.

საკ.კოდი: 01.14.05.005.045

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – 01/1122 23.05.2011წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – ნ/1184-1ბ 23.05.2011წ.

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (13.11.13) **დადგინდა:**

ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები, სატელიტური ანტენები, გამაცხელებლები და გადმწოვი მილები. შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი. არ არის მოწყობილი რუსტებით ლესვა და წინა მხარეს დეკორატიული კერამოგრანიტის ფილებით მოპირკეთება.

<u>ფასადი 1-8 ღერძებში:</u> 3-4 მონაკვეთში კარის ღიობი შესავსებია. სადარბაზოებთან არ არის მოწყობილი კიბის საფეხურები. +10.08 ნიშნულზე 3-4 და 6-7 მონაკვეთებში ნიშასთან ლესვის ხაზი შემცირებულია. +22.88 ნიშნულზე 2-3 და 7-8 მონაკვეთებში სადარბაზოს ღიობი გაზრდილია და გაუქმებულია რიგელი. +26.08 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში აივნის გადახურვა შეწეულია უკან.

<u>ფასადი 8-1 ღერძებში:</u> ±0.00 ნიშნულზე ზოგიერთი კარის და ფრამუგის ღიობი შესავსებია, ასევე ზოგ ფრამუგაში დამატებულია გისოსები. +4.68 ნიშნულზე 8-6 და 4-2 მონაკვეთებში ორ ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი.

სახურავზე სამანქანოებში შეცვლილია კიბის საფეხურების ფორმა. 7-8 მონაკვეთში გაზრდილია სამანქანოს გაბარიტი სიგრძეში 25 სმ-ით. სამანქანოების გადახურვა ფილის ნაცვლად მოწყობილია თუნუქით და გაუქმებულია პარაპეტი.

პროექტის ხარვეზი: შენობის შიგნით 3-3 და 7-7 ღერძებზე დამატებულია კოლონები რაც შესრულებულია კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით. 2-2; 8-8 და ე-ე ღერძებზე დამატებულია მონოლითური კედლები, რაც შესრულებულია კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით.

ვ.ამისულაშვილი

გ.გეგელაშვილი